

## ქართული ჭკვიანი ჟურნალისა და ადაფტირებული ვიკიპედიის პირველი საცდელი ვერსიები

კონსტანტინე ფხაკაძე\*, მერაბ ჩიქვინიძე\*, გიორგი ჩიჩუა\*, დავით კურცხალია\*  
\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრი

მოხსენებისას წარმოვადგენთ AR/122/4-105/14 პროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ საგრანტო მხადაჭერით წარმოებული კვლევების ფარგლებში შემუშავებული ქართული ჭკვიანი ჟურნალისა და ადაფტირებული ვიკიპედიის პირველ საცდელ ვერსიებს.

ქართული ჭკვიანი ჟურნალის საცდელი ვერსია უზრუნველყოფილია ქართული ტექსტის მანალიზებელი საცდელ-სამომხმარებლო სისტემით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიის ტექსტის აკრეფის პარალელურად მოახდინოს აკრეფისას დაშვებული ორთოგრაფიული და სინტაქსური ხასიათის შეცდომების აღმოჩენა და გასწორება.

ამასთან, ქართული ჭკვიანი ჟურნალისა და ადაფტირებული ვიკიპედიის ეს საცდელი ვერსიები უზრუნველყოფილია რა ქართული მეტყველების დამამუშავებელი და ავტომატურად მთარგმნელი სისტემების საცდელ-სამომხმარებლო ვერსიებით, მომხმარებელს საშუალებას აძლევს მისი ხმოვანი ბრძანებების შესაბამისად:

1. მოსმენით მიიღოს იფორმაცია ჟურნალში (ვიკიპედიაში) განთავსებული ქართული სტატიიდან. - ეს გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელი უზრუნველყოფილია ხმოვანი ბრძანებით კითხვის წამოწყების, შეწყვეტისა და გაგრძელების შესაძლებლობებით;

2. აწარმოოს ე.წ. ხმოვანი ძებნა. - ეს გულისხმობს ძებნის სტანდარტულ პროცედურას იმ განსხვავებით, რომ ჟურნალის ძებნის ველში საძებნი სიტყვის/ფრაზის/წინადადების აკრეფის ნაცვლად შესაძლებელია დასაძებნი სიტყვის/ფრაზის/წინადადების თქმით შეყვანა;

3. უკვე დაძებნილი ქართული სიტყვის/ფრაზის/წინადადების მიხედვით აწარმოოს ხმოვანი ძებნა ქართულ გუგლსა და ვიკიპედიაში;

4. გააკეთოს უკვე დაძებნილი ქართული სიტყვის/ფრაზის/წინადადების უცხოენოვანი თარგმანი და, ასევე, ამ უცხოენოვანი თარგმანის მიხედვით აწარმოოს ხმოვანი ძებნა შესაბამის უცხოენოვან გუგლსა და ვიკიპედიაში.